


„დროების“ რედაქცია—სახანლის ქუჩაზე, დ. სა-  
რადოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე  
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე  
მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „ДРОБЪ“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—  
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.  
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ., 50კ. 4 თვ.—4 მ., 3  
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეკი.



ბამონის ყოველ-ღამე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე  
8 კ., პირველზე 16 კ. სრული სტრიქონი—  
დი 25 მანათი; პირველი 50 კ. სტრიქონი—  
ნებისა ითვლება მთვან დაქვრილის ადგილის კვა-  
ლობაზედ.

თუ საქართველოშია მოთხოვნილი, რედაქცია გაასწავლებს და შეამო-  
კვებს დასაბუჯდად გამოცხადებულ წერილებს. დაუბუჯდად წერი-  
ლებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявления изъ Россiи, Царства Польскаго и за-  
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.  
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

### ვისაც დღემდე არ შემოუტანია ხვედრი ფასი ვა- ზეთისა, რედაქცია სთხოვს დაჩქარონ ფულის ვა- მეგზავნა.

(5—4)

ქვემოთ ბარბარე სოლომონის ასული ნაპაშვილისა, ზიორაზი და  
კოსტანტინე სოლომონის-ქვემო ონიკოშვიდი გულითადი მწუხარებით  
აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა მათის ბიძის, ალექსანდრე ნი-  
კოლოზის-ძის ონიკოშვიდის გარდაცვალებას, უმორჩილესად სთხო-  
ვენ მობრძანდნენ პანაშვიდზე სამშაბათს, აპრილის 23-ს, დილის 12  
საათზედ და საღამოს 7-საათზე. მიცვალებულის გამოსვენება მოხდება აპ-  
რილის 24-ს, დილის 9 საათზე, საკუთარის სახლიდან მლისაბედის ქუ-  
ჩაზე, ალექსანდრო-ნეესკის ეკლესიაში, ძუკიაში. (2—1)

### ბიბლიოთეკა

თ. ნიკოლოზის სამეგრელოისა.

„დროების“ მკითხველებმა იციან,  
რომ თავადმა ნიკოლოზს სამეგრელო-  
ისამ შემოსწირა ქართული ბიბლიოთე-  
კა ჩვენს „წერა-პითხვის გამავრცელებ-  
ელს საზოგადოებას“. ამ ბიბლიო-  
თეკაზე ჩვენ ბევრი რამ გვქონდა გა-  
გონილი. თვით განსვენებულს ბრო-  
სეს თავის აქ ყოფნაში 1848 წ. გაე-  
სინჯა იგი და ზოგიერთი ღირს-შესა-  
ნიშნავი იმისი მანუსკრიპტები კიდევ  
გაერკვია. ამისთვის მოუთმენელად  
მოველოდით ამ განძის ჩამოტანას  
თბილისში. ეს ბიბლიოთეკა ახლა  
„წერა-პითხვის საზოგადოების“ ხელ-  
შია და ამ დღეებში კიდევ გაისინჯა.  
რასაკვირველია, იმისი სრული დაფა-  
სება მაშინ შეიძლება, როდესაც ყვე-  
ლა მანუსკრიპტი საუფუძლიანად გავი-  
კვეთა.

აქ ჩვენ მხოლოდ იმას ვიტყვით,  
რომ თ. სამეგრელოის წიგნთა საცავს  
შეადგენს ორასზე ნაკლები ნომერი,  
თუმცა უწინდელი იმისი კატალოგი  
მომეტებულ ნომრებს უჩვენებს. თუმ-  
ცა, როგორც ვიცით, ეს ბიბლიოთე-  
კა კარგად იყო დაცული, მაგრამ ის  
საზოგადო სენი, რომელიც ჩვენშიამ  
გვარ განძსა სდევნის, იმასაც კი შე-  
ჭებია. სჩანს, რომ ზოგიერთი მა-  
ნუსკრიპტი გაუტანიათ და აღარ და-  
უბრუნებიათ. მარდა ამისა, ერთი არ-  
ქეოლოგიურის მხრივ დიდად შესამჩ-  
ნევი ოთხ-თავი ანუ სახარება დაგლე-  
ჯილია და დაფანტული, უეჭველად  
ზედამხედველის დაუდევნელობის გა-  
მო, რომელსაც იმისი ფასი არა სცოდ-  
ნია. რომ თვით პატრონს დიდი ყუ-  
რადღება ჰქონია მიტყუული საზოგა-  
დოდ თავის წიგნთ-საცავზე, ეს ცხა-  
დაა: ყველა ნომრები ყდებით არის  
შეკაზმული.

მარდა ხსენებულის ოთხ-თავისა,  
რომელიც მთლად არის ნაწერი უძვე-  
ლესის ხასიათის ხუცურის ასო-მთაფ-  
რულით, ამ წიგნთ-საცავშია მეთა-  
სა და მეთერთმეტის საუკ. ტყავზე ნა-  
წერი მანუსკრიპტები, იმათ შორის  
ერთი დიდი ფოლიანტი, ათონის მო-  
ნასტრის ხელით, ამ მონასტერშივე  
ნაშრომი, რომელიც შეიცავს, სხვათა  
შორის „საგალობლებს“ მაშინდე-  
ლის სანოტო ნიშნებით. თუ იმათ  
მნიშვნელობას ახლა ვინმე შეიგნებს,  
შეიძლება ძველი გალობის კილოც  
აღვადგინოთ. მანუსკრიპტების რიცხვ-  
ში აღმოჩნდა აგრეთვე: ა) ერთი პი-  
რი ქართულის ბიბლიისა, რომელიც  
თ. მარანტოვის დროს განსვენებულს  
ნოსელიანს მოეტანა ათონის მთიდან  
და მეორე ამ ბიბლიის პირი საქარ-  
თველო-იმერეთის კანტონში იხანე-  
ბა; ბ) მართლის-სხოვრება ზოგიერ-  
თის დამატებებით, რომელიც სხვა  
მართლის-სხოვრების ვარიანტებში არ  
იპოვებინა; გ) „მისრამიანი“ არჩილ  
მეფისაგან გალექსილი; დ) ამირან-  
დარეჯანიანი“ მე-XVII საუკ. ხელით  
ნაწერი და სხვ.

სრული ანგარიში ამ ბიბლიოთეკი-  
სა შემდგის დროისათვის გადავი-  
დეთ. აქ ვსარგებლობთ მხოლოდ შე-  
მთხვევით, რომ მთელის ქართველო-  
ბისა და ქართულის არქეოლოგიის  
მხრივ გულითადი მადლობა უძღვნათ  
უგანათლებლულეს თავად ნიკოლოზს  
თავის განძის გადმოცემისათვის ჩე-  
ვის მეცნიერების დედა-ქალაქს თბი-  
ლისში, სადაც მხოლოდ ქართულ  
ისტორიას შეუძლიან იმითი სრულად  
ისარგებლოს. მკვი არა გვაქვს, რომ  
ეს სამაგალითო საქმე თავადის ნიკო-  
ლოზის მხრივ თავის გავლენას აღ-  
მოაჩინოს სხვებზედაც. აქ უნდა შეე-  
ნიშნათ ის ფაქტი, რომ საქართვე-  
ლოა ერთი იშვიათთა ქვეყანათაგანი,  
სადაც მრავალი ძველი და უძველესი  
მწერლობის ნაშთი ყოფილა და

არის კიდევ, მაგრამ გაფანტული აქა-  
იკ კერძო სახლებში და ეკლესია-მო-  
ნასტრებში, ანუ გატანილი საქართვე-  
ლოს გარეთ. შაკეტო იგინი აქამომდე  
ქურდულად მაშინ, როდესაც ყოვე-  
ლივე ამ გვარი განძი შეადგენს კუ-  
თენილებას მთელის საქართველოსას,  
იმის სწავლა-მეცნიერებისას და უნდა  
რჩებოდეს იმის ხელში. ეს სამწუხა-  
რო მოვლენაა უმთავრესი მიზეზი,  
რომ ჩვენ არა გვაქვს აქამომდე შე-  
მუშავებული ჩვენის წარსულის დროის  
ისტორია და არც შემუშავდება, სანამ  
არ შემოიკრიბება თბილისში ძველი  
მანუსკრიპტები, გუჯრები ანუ სიგე-  
ლები.

ამ აზრით, როგორც ამ დღეებში  
გაზეთმა „საქაზმა“ გვაცნობა, თვით  
ყოველად უსამღვდელო ექსარქოსი პაე-  
ლე შესდგომია სიონის სობოროს  
გალავანში დაარსებას ქართულის სა-  
ეკლესიო მუზეუმისას, სადაც უნდა  
შემოიკრიბოს საქართველოს მონასტ-  
რებიდან ყოველივე ისტორიული განძი.  
ამ გვარი აზრი დიდი-ხანაა აღსრულე-  
ბაშია მოყვანილი მეროპის სახელ-  
მწიფოებში და თვით რუსეთშიაც დი-  
დი ყურადღებაა ახლა იმაზე მიქცეუ-  
ლი.

ამ აზრითვე მივმართეთ ყველა სა-  
ქართველოს შეილს, ვინც თანაუგრძ-  
ნობს ჩვენს ისტორიის შემუშავებას  
დი ვისაც რაიმე ძველი ისტორიული  
ნაშთი მოგვოვება, არ დაიშუროს და,  
თავადის ნიკოლოზის მაგალითით,  
უძღვნას ანუ „წერა-პითხვის გამავრ-  
ცელებელს საზოგადოებას“, ანუ, თუ  
საეკლესიო საგანს შეადგენს, „საე-  
ლესიო მუზეუმს“, სადაც, იქაც და  
აქაც, ყველა შემოწირულობა დაცუ-  
ლი იქნება ფაქიზად და თვით შე-  
მომწირავის სახელი ჩაირთვის კატა-  
ლოგში. თუ არა, თვითოეული ჩვენ-  
განი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ,  
როგორც ვხედავთ, რაცა გვაქვს დარ-  
ჩენილი, დროს განმავლობაში ისიც  
სრულდებით დაგვეკარგება და დაგვე-  
ლუპება და ყველანი მაშინ ვგრძნობთ  
სინანულს, როდესაც საქმის შეველა  
შეუძლებელი-ლა იქნება.

აქ ვსარგებლობთ შემთხვევით, რომ  
გულითადი მადლობა განუუცხადოთ  
თვით თავადს ბრიგოლ დავითის ძეს  
ბურიელს, რომლისაგანაც ამ დღეებ-  
ში მივიღეთ სადაც ოსურგეთში  
მისგან ნაპოვნი პატარა მე-X საუკ.  
მშვენიერი ასო-მთაფრულიანი და ოქ-  
რო-ვარაყიანის ვასაოცარის ხელო-  
ვნების სათაურის ასოებით ეტრატზე  
ნაწერი სახარება. ეს შრომა უჩვენებს,  
რა მაღალ ხარისხზედ მდგარა ჩვენში  
თვით მე-X საუკუნეში კალიგრაფია  
და მხატვრობა. ამისთვის იგი დიდს

განძს შეადგენს ჩვენის არქეოლოგი-  
ისას, თუმცა საუბედუროდ სახარება  
ძალიან დაშლილია და ნათრევი.

დამიტონი ბაქდაძე.

აპრილის 20.

### შინაური ქრონიკა

მე-მეორას, აპრილის 21-ს, შე-  
სრულდა სწორედ ასი წელიწადი, რაც  
იმპერატრიცა მკატერინე მეორემ თავ-  
და-აზნაურობას უბოძა სიგელი და  
მრავალი სხვა-და-სხვა უფლება დაუ-  
მტკიცა. ამ დღეს თბილისის თავად-  
აზნაურობამ მოიყარა თავი 11 საათ-  
ზედ თბილისის გუბერნიის თავად-  
აზნაურთა წინამძღოლის თ. სუმბათა-  
შვილის სადგურში, სადაც ხსენებული  
სიგელი წაიკითხეს. აქედამ ყველანი  
წავიდნენ სიონის სობოროში, სადაც  
ექსარქოსმა გადაუხადა პანაშვიდი იმ-  
პერატრიცა მკატერინე მეორეს და პარა-  
კლისი ამპრატორის ალექსანდრე მეხმის  
სადღეგრძელოდ. პარაკლისის დასას-  
რულს წარმოსთქვეს „მრავალ-ჟამიერი“  
მთელის სამეფო სახლეულობისათვის  
და საქართველოსა და მთელის რუსე-  
თის თავად-აზნაურობისათვის.

მკლესიაში თავად-აზნაურობის გარ-  
და დაესწრნენ ბევრი სამსახურის პირ-  
ნი, უცხო-ქვეყნელი კონსულები და  
მაჰმადიანთ სუნიტისა და შიიტის სექ-  
ტის უფროსები.

მართლმად დრამატიულმა დას-  
მა კვირა საღამოს არწრუნისეულ  
თეატრში გამართა მართული წარმო-  
დგენა. წარმოდგენილი იქნა „ძინტო“  
პიესა თ. აკ. წერეთლისა და დივერ-  
ტისმენტი. ხალხი მეტის-მეტად კმაყო-  
ფილი დაიშალა. როგორც შევიტყვით,  
დრამატიული დასი თავად-აზნაურთა  
კრებისათვის საინტერესო პიესებს ამზა-  
დებს. ბევრს გამოუტანდებია სურვი-  
ლი, რომ ამ კრებებისათვის დრამა  
„სამშობლო“ წარმოადგინონ, რად-  
გან ამ პიესის ქება ყველას გაუფანია,  
მაგრამ ნახვით კი ბევრს არ უნა-  
ხავს.

### დავა შეუ აზიაში

ამ აპრილის 11 პეტერბურ-  
გის სამხედრო ოლქის შტაბში ვინმე  
კაპიტანს ტერეხოვს მოკლედ წაუყით-  
ხავს გეოგრაფიული და სტატისტიკური  
ცნობანი ავღანზე და შემდეგ გადა-  
სულა ამ ქვეყნის ისტორიაზედ. ავ-  
ღანი მთა ადგილიაო, უთქვამს ლექ-





ტორს; „სიერკით საფრანგეთს აღემატება ეს მხარე და მასში ექვს მილიონამდე მცხოვრები ითვლება; ამ რიცხვიდან ნამდვილი ავლანელი ორ მილიონ ნახევრამდე ითვლება. ავლანში ბევრი სხვა-და-სხვა ხალხი სცხოვრებს, რომელნიც ხშირად არ ექვემდებარებიან შიშის ხელმწიფებას. მომხდარა ხოლმე, რომ, მაშინ როდესაც შიში კარგს განწყობილებაში იყო ინგლისელებთან, სხვა ავლანის მცხოვრებნი უწყალოდ ქლევდნენ ინგლისელ მეციხოვნე-ჯარს (გარნი-ზონს) და ინგლისის ელჩებს ძაბულ-ში. შიშის ჯარი (უმეტესად მილი-ცია) 50,000 მეთმარისაგან შესდგება 60 სამინდერო ზარბაზნით. — შემდეგ ლექტორს აუწერია ისტორიული მხარე ავლანისა და განუმარტებია — თუ რამდენად გასაჭირია ბრძოლა ამ ქვეყანასთან. ინგლისელები არა ერთხელ შესეულან ავლანში, დაუპყრიათ ძაბული, შანდარი და ჰერათი. შიში თითქმის ყოველთვის მზად იყო დაქვემდებარებოდა ინგლისელებს, მაგრამ ბოლოს იმართებოდა პარტი-ზანული ომები და ინგლისელები უფრო ხშირად იძულებულნი იყვნენ ზურგი ეჩვენებინათ აჯანყებულის ხალხისათვის, რომელნიც უწყალოდ მუხრს ავლებდნენ ინგლისელ ჯარებს, სანამ ინდოეთის საზღვრებს არ გადაიყვანდნენ მათ. უკანასკნელად მეკრუ-ლის პირობის ძალით, შიში ყოველ-წლობით იღებს სუბსიდიას ინგლისი-საგან, რისთვისაც ნახევრად ექვემდებარება მას, აღვიარებს ამ სახელმწი-ფოს მფარველობას თვის სამფლობე-ლოზე. ავლანი იგივე ძავეკასიაა. ამ ქვეყნის დაპყრობა, თუ კი ეს რო-დისმე საჭიროდ შეიქმნება, აუწე-რელს მსხვერპლს მოითხოვს რუსე-თისაგან და ბოლოს-კი ხელთ დაგერ-ჩება ერთი რალაც მთიანი ადგი-ლი, დაუსახლებელი, უგზო და ცუ-დის ჰაერით ჯან-მრთელობისათვის; ხელთ დაგერჩება ქვეყანა, რომე-ლიც მუდამ წელს აუარებელს ხარჯს მოითხოვს ჩვენგან განწყობისათვი-სა“.

**ამ ცნობას შეეხება გაზ. Новост-и და ამბობს:**

„რომ მართლა ავლანი ისეთი ქვეყანა იყოს, როგორც ბ. ტერეხოვმა დაგვიხატა ჩვენ, რომ მართლა ამ ქვეყნის დაპყრობისათვის იმდენი შეძ-ლება იქმნეს საჭირო, რამდენიც ძავეკასიისთვის დაგვიჭირდა, მაშინ ინგლი-სელები სრულიად არ შესწუხდებო-დნენ, არ განიზრახავდნენ ომის გამოც-ხადებას, ჩვენს შეჩერებას პენჯდეს-თან და არ გაეფეროდნენ ჩვენს საქმე-ში. მაგრამ თუნდ ავლანი მეორე ძავეკასიად მივიღოთ, განა ეს გარემოე-ბა საუკეთესო მაჩვენებელი არ არის იმისა, რომ ჩვენ არ უნდა შევჩერდეთ, უნდა გადაველოთ პარაპამიში ძავეკასიის ქედისებრ და იმედი უნდა ვიქონი-ოთ, რომ ავლანელები იმდენ წინააღმ-დეგობას ვერ აღმოგვიჩენენ, რამდენიც ძავეკასიის მთიელებმა აღმოგვიჩინეს. და მეორე კიდე ამ ავლანელთ წინა-

აღმდეგ ჩვენ გეყავს იგივე ძავეკასიის ჯარი.“ შემდეგ გაზეთი განაგრძობს: „შბრალო ლოგიკა მოითხოვს, რომ უნდა შევეგებოთ მას, რაც მოსა-ლოდნელია და უბრალოდ დრო არ დაეკარგოთ, არ ეცადნეთ თავი ავაცდი-ნოთ ამ მოსალოდნელს. ამიტომ, ეხლავ რომ შეგვეძლოს ჰერათისა და ერთის საიმედო ნავთ-საყურის კიდე დაქერა ინდოეთის ოკიანეში, სპარსე-თის ჰურეს მახლობლად სადმე — ეს იქმნებოდა საუკეთესო საშუალება მორიგებისთვის და საიმედო ნაბიჯი ინდოეთთან მჭიდრო, დაახლოებუ-ლი მეზობლობის განწყობისათვის.“

◆◆ ლონდონიდან სწერენ „Polit. Corr“-ს: „აქ მოვიდა ლორდ ლეფერ-ინისაგან ფრიად საყურადღებო დე-პეშა. ლეფერმა გვაუწყებს, რომ გავრ-ცელებულმა ხმებმა იმის თაობაზედ, ვითომც ინგლისი ებრებოდეს თავა-ზიანობა გაუწიოს რუსეთსა „ავლან-ის საქმეთა“ გამო, ძლიერ აღმაშ-ფოთებული გაკლენა იქონია აქა-ურს (ინდოეთის) საზოგადოებაზე-დაო. თუ რომ ინგლისის ძაბინეთს მართლა აქვს ესეთი განზრახვა და არა ჰსურს წინააღმდეგ რუსეთის წინ-წასვლას ავლანში, მაშინ ლორდ ლეფერინი იძულებული შეიქმნება დასტოვოს თვის თანამდებობა, რად-გან ვერ შეიძლება პასუხი-ავოს ინ-დოეთის თვით შინაგანის მშვიდობა-იანობისათვის. ამ დეპეშამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა კაბინეთის წევრებზე და შესამჩნევად გამოაცლფე-ვინა მათ ის აზრი, რომ რუსეთს რაიმე დაუთმონ. აქ თითქმის აღარაინ ექ-ვობს, რომ ომი აუცილებელია და ბოლოს გამარჯვება ინგლისს დარჩება, რადგან ეს სახელმწიფო იმ დრომდე იბრძოდება, სანამ რუსეთის ფინანსიუ-რი მდგომარეობა ერთიანად არ დაე-ცემა და ეს უკანასკნელი იძულებუ-ლი არ შეიქმნება მორიგება ითხოვოს, მიუხედავად იმისა, რომ უფრო ხში-რად ბრძოლის ველზე გამარჯვება იქნება მას დარჩეს.“

**მოწალმართი დასი თელავში**

ეს მეოთხე წელიწადია, რაც ჩვენს ამ დრომდე მიყრუებულ თელავში იფეთქა საზოგადო სიცოცხლის ძა-ლამ; ამ სიცოცხლის შედეგები გახლ-დნენ: ა) საზოგადო დეპოს გახსნა, ბ) ღარიბი ხალხისათვის ქალების სკო-ლის დაფუძნება, გ) გამსესხებელ-შემ-ნახველი ამხანაგობის დაარსება და დ) წიგნთ-საკითხავის გახსნა. ჰველა ამ საზოგადო დაწესებულებათა დაწე-ობა, მომართვა, შესაფერ კალაპოტ-ში ჩადება მუდამ ჰხდებოდა ერთის მომ-ცრო, მაგრამ სიკვითი შეგუიანებულის წრისაგან. მხოლოდ ამ წრის ყოველდ-თავ-განწირულს მოქმედებას უნდა უმაღლოდეს თელავი, რომ დღეს, იგი პატრონია ოთხი არა მცირე მნიშ-ვნელოვანი საზოგადო დაწესებულე-ბისა: საეპრო დეპოსი, სახალხო ბან-კისა, სახალხო სკოლისა და საზოგა-

დო წიგნთ-საკითხავისა. მხოლოდ ამ დაწესებულებებს უნდა ვუმაღლოდეთ, რომ როდესაც გვინდა ვიყიდოთ რა-მე მოუტყუებლად მივდივართ საზო-გადო დეპოში, როდესაც გვინდა გა-ჭირებაში ხელი მოვიწაცლოთ სეს-ხით — მივდივართ ბანკში, როდესაც გვინდა შეიღებს მივცეთ სწავლა-გა-ნათლება — მივგყავს იგინი სკოლაში, როდესაც გვინდა რამ წავიკითხოთ — მივდივართ წიგნთ-საკითხავში და ანუ გამოგვაქვს იქიდგან წიგნები! ეს ოთ-ხივე დაწესებულება შეადგენენ არა უკანასკნელს კუთვნილებას ყოველის ხეირიანად განწყობილის საზოგადო ცხოვრებისას და მამასადამე, რა ჰმარ-თებთ მათ დამწყობებთან გარეშე პირთ გარდა იმისა, რომ გვერდში ამოუდგ-ნენ მესვეურებს და მათთან ერთად ჰსწიონ უღელი საერთო შრომისა და საქმისა!

მაგრამ დალახვროს ლმერთმა ჩვენი ქართველ-სპარსული ერთმანეთის გაუ-ტანლობის ხასიათი! შინდათ თუ არ გინდათ, „დაგვითმეთ ჩვენ მესვეურო-ბა“-ო, აი, დევიზი, რომელიც ცხადად გამოიხატება მოწალმართე დასის ქცე-ვა-მოქმედებაში; თვითონ ყოველად უნიჭო და არაფრის დამწყობი, მას მხოლოდ სხვის ნაღვაწზედ ჰსურს ფარ-ფაშობა.

ახლა რომლის უფლებით ჰსურთ ხელში იგღონ საზოგადოების მესვე-ურობა ამ ვაჟბატონებმა? ამის პასუხს მგონი თვით ისინიც ვერ მოგიგებენ და ჩვენის ფიქრით კი, მესვეურობა მიტომ სწადიანთ, რომ ხელის უფ-ლება მოღვაწე დასისაგან ბევრის გან-საცდელით დადგენილი საქმეებისა ხელთ იგღონ და მით... ჩვენც აღარ ვიცით, რა შექმნან: ააშენონ თუ და-ანგრიონ იგინი!..

ამ მოწალმართე დასის მთავარ-სარ-დალი და მთავარი ძალი შესდგება თელავის ობსკურანტ-განმანათლებლე-ბისაგან, ანუ ფიხტე-კანტებისაგან, რო-გორც აქ ეხლა ამათ უწოდებენ. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ყველა მათგანი ამ „მოწალმართე“ დასს ეკუთვნოდეს, არა: არიან მათში იმისთანებიც, რომელ-ნიც თვით საქმეს უდგანან გვერდში და არა დაბრკოლებაში არა სტოვე-ბენ თავიანთ ადგილს, მაგრამ მომეტე-ბული მათგანი კი წარმოგვიდგენს ყოველად-უმოქმედო და შურით სავსე მხარეს, რომელსაც საზოგადო საქმის კეთილ-დღეობა ფეხებზედ ჰკილია და, რომ არც სხვანი მოქმედობდნენ საზო-გადო სარბიელზედ — ყოველის ღონის ძიებით ცდილობენ ამათს დამცირებას, გადაყენებას და სხვ.

მაგალითისათვის შორს წუ წავალთ: იანერის 20 ამ წლისა თელავის მე-სვეურებმა გახსნეს საზოგადო წიგნთ-საკითხავი, რომლის დამხობისათვის არაფერს არა ზოგავდა ზემოდ-მოხსე-ნებული დასი. გახსნეს და შეუდგენ კიდევ ამ კეთილი საქმის ხეირიანად დაყენებას. სხვათა შორის, წიგნთ-სა-კითხავის გამგეობა მოურიგდა გამსეს-ხებელ-შემნახველ ამხანაგობის გამგე-ობას რომ, რადგანაც ორივე დაწყო-

ბილება, ჯერ-ჯერობით ცალკე-ცალკე უღელს ვერ გასწევენ, შესხედნენ დაეკირათ. აზრი გვეუბრება: [დენ] [წინ] რა დაუდგებოდა! მაგრამ, აბა, ერთი შეხედეთ, როგორის თავ-გამოდებით იბრძვის ეს ბნელი დასი, თვისი ბნე-ლი მეთაურით, ამ აზრის წინააღმდეგ! არ გვეგონოს, მკითხველო, რომ ეს ბნელი დასი წინააღმდეგია ბანკისა და ბიბლიოთეკის ერთ შენობაში მოთავ-სებისა, ბანკის რომელიმე პირ-და-პირი ინტერესებისა! სრულიადაც არა: ეს დასი მოწინააღმდეგეა თვით წიგნთ-საკითხავისა და რადგანაც დარ-წმუნებულია, რომ ახლად შობილს (წიგნთ-საკითხავს) თვით-მყოფობითი ცხოვრება გაუჭირდება და, იქნება სუ-ლაც გამოესალმოს მას, არაფერს არ ზოგავს და გაშმაგებული იბრძვის განცალკევებისათვის. აიღვე მაღლობა ლმერთს, რომ საზოგადო ყრილობამ უკუ აგდო მათი არა-საკეთილო განზ-რახვა ხმის უმეტესობით.


მეორე მაგალითი მათის ბნელის მოქმედებისა გახლავთ ი. პ. როსტო-მაშვილის სკოლის წინააღმდეგი განზ-რახულება. მადაეკიდნ როსტომა-შვილს: რადგანაც ჩვენ შენის სკოლის სასარგებლოდ ვწირავთ თვეში ათ შა-ურს, ანუ მანათს, ამიტომ, გინდა თუ არა, სკოლა ჩვენ გადმოგვეციო. როს-ტომაშვილი, რასაკვირველია, მოერი-და იმას, რომ ამ გარდაცემით იმდე-ნის ვაი-ვაგლახით დაწყებული და და-ფუძნებული საქმე არ ჩაიფუშოს და წინადადება მისცა მათ: „შეადგინეთ ერთი რამ საზოგადოება, დამტკიცე-ბინეთ მთავრობას (რადგანაც უიმისოდ არც კი შეიძლება სკოლის გარდაცე-მა) და მაშინ დიდის სიამოვნებით, გარდმოგვეცემთ სკოლასაო.“ დასი სიბ-ნელისა შევერხდა. ამათ ეგონათ, რომ როსტომაშვილი უარს გვეტყვის სკოლის გარდაცემაზედ და ჩვენც მი-ზეზი გვექნება ყოველი დამოკიდებუ-ლება მოესპოთ მათს სკოლასთანაო, და ახლა რა იხილა, რომ როსტომა-შვილი უარს არა ჰყოფს გარდაცემას და მუდამ მზად არის გარდასცეს იგი მკვიდრად დადგენილს საზოგადოებას, შედრკა, რასაკვირველია, იმიტომ რომ ოთხმოც-შეგირდიანი სკოლის საქმის თაონობა და წარმოება ად-ვილი არ არის და უარი-ჰყო ეს ყოვე-ლად კანონიერი და უანგარო წინა-დადება.

რომ საქმე ამით არ გათავდეს და საზოგადოების არე-დარევის გასამარ-თლებელი საბუთი მაინც ჰქონდესთ, შეიტანეს შემდეგი წინადადება: „სკო-ლა ისევ როსტომაშვილს ებაროს, იგი იყოს, როგორც აქამომდე, მთაე-რობის წინაშე პასუხის მგებელიო, ხოლო გამგებლობა სკოლისა დაგვით-მოსო“. ეს წინადადება როსტომაშვი-ლისაგან უარ-ყოფილ იქმნა და ჩვენ-მა ბნელეთელებმა ცალკე განჩინებით დაადგინეს: „ამის შემდეგ აღარ შევწი-როთ წმ. მეთევანის (ასე დაარქვეს როსტომაშვილის სკოლას „მოწალმარ-თეებმა“) სკოლის სასარგებლოდ აღა-რაფერო“. განჩინებაზედ ხელი მოაწე-რა ათმა კაცმა, რომელთა შორის









ნად. იყოს ესე განსაზღვრულად ერთგუ-  
ლებისა მშობელი ეცადონ თავიანთ  
შვილების აღზრდას, რუსეთის თავად-ს-  
ნაურთბის მომავლის თაობისა, გაუ-  
ღიერონ სული ერთგულებისა, ჰსტიოს-  
სებისა, ასწავლონ მარტივი ცხოვრება  
და ერთგულება ტაქტისა და მამულის  
სიკეთისადმი.

სამდივოსე სელ-მოწილია მისის  
იმპერატორების უდიდესუფესობის სა-  
კუთარის სელით.

„ალექსანდრე“.

აპრილის 21-ს

**პეტერბურგი.** გ.წ. „Современный  
Известия“-ს გამოცემა კვლავ ნება-  
დართულია.

**პარიზი.** საფრანგეთისა და ინგლის-  
ეკვპეტს შორის ამტყდარა უკ-  
მაყოფილება გ.წ. „Bosphor Egyp-  
tien“-ის გამო, ისეაბა. საფრანგეთის  
გენერალური ელჩი, რომელიც აღე-  
ქსანდრიაში წამოვიდა, ისევე დაბრუნ-  
დება ქაირში.

**ბერლინი.** საჯავშინო რჩევამ მოე-  
წონა რუს-გერმანიის სელ-შეკრუ-  
ლობა დამნაშავეთა გაცვლასა.

აქურდ გასეთებს არა სჯერათ დიდს  
ბეატაში 15 ინგლისის საომარი გე-  
მის გამოჩენა; გასეთება ჰფიქრობენ,  
რომ ინგლისის ფლოტი ჯერ საგმი-  
ოდ არ არის შეიარაღებული; ბელ-  
ტაში შეიძლება სხვა უბნალო გემები  
გამოჩნდნენ.

კენიგსბერგის გასეთები იწერებან,  
რომ რუსეთიდან დიდ-ძალი ჰური  
გააქსო სმეღეთით და ზღვით.

**პარიზი.** რადგან იმედა, რომ რუს-  
ინგლისის შორის ამტყდარა დავა  
მშვიდობიანად გათავდეს, ოსმალეთს  
საჭიროდ არ მიაჩნია გამოაცხადოს  
ნეიტრალიტეტი.

**მადრი.** ნუბარ-ფაშამ ბოღაში მოი-  
თხოვა საფრანგეთის გენერალურ ელ-  
ჩის წინაშე და უკანასკნელმა განაზ-  
ღა მოლაშარაკება თავის მმართველ-  
ბასთან.

**ნეაპოლი.** ვეზუვიზე რკინის გზის  
სტანციადამ 200 მეტრის სიმაღლეზე  
გაიხსნა ორი კრატერი, სიღამც  
სიმაღლის ღვა და ტორიისა და პომ-  
პეის შუა მიდის.

**ბირჟა**

ვეტერბურგი აპრილის 21.

100 მანათის კურსი სამის	
თვით ღონდონზე —	23 <sup>3</sup> / <sub>8</sub> , 23 <sup>17</sup> / <sub>32</sub> 23 <sup>3</sup> / <sub>8</sub>
100 მანათის კურსი სამის	
თვით ვამბურზე —	199 <sup>1</sup> / <sub>2</sub> , 200
100 მან. კურსი სამის	
თვით პარიზე —	247, 247 <sup>1</sup> / <sub>2</sub>
პოლიმპერიადობი —	8 მ. 42 პ. გაუ.
ტამოუნის გუბონები —	8 მ. 39 პ. გაუ.
ვეტლის მანათი —	1 მ. 35 პ. გაუ.
ბირჟის დისკონტი —	6 და 7%
5% ბილეტები აღმოსავ- ლეთის სესხისა	100 და

1000 მან. პირველი გა- მოცემისა — — —	97 <sup>1</sup> / <sub>4</sub> მ. გაუ.
მეორე გამოცემისა —	96 მ. 87 პ. გაუ.
მესამე გამოცემისა —	96 <sup>1</sup> / <sub>2</sub> მ. გაუ.
5% ბილეტები ბილეტები	
I შინაგანის სესხისა —	214 <sup>1</sup> / <sub>2</sub> მ. გაუ.
5% ბილეტები ბილეტები	
II შინაგანის სესხისა —	203 <sup>1</sup> / <sub>4</sub> მ. გაუ.
ოქროს რენტა — — —	202 მ. გაუ.
თბილისის საადგილ-მა- მულო ბანკის გირაუნობ.	
ფურცლები — — —	27 წ. 89 მ. გაუ.
	43 წ. 88 <sup>2</sup> / <sub>11</sub> მ. გაუ.

ქუთაისის საადგილ-მა- მულო ბანკის გირ. ფურც.	18 წ. 91 მ. გაუ.
	43 წ. 90 მ. გაუ.

**ცნობანი**

**საავადმყოფოს დირექტორი ბ-ნი**  
მარშიშვილი ამით აცხადებს რომ ქ.  
თბილისის მოქალაქეთა მიერ გარეშე  
მოსიარულე ავადმყოფთათვის დაარ-  
სებულს საავადმყოფოში 1866 წლის  
აპრილის 4-ის მოსაგონებლად შემო-  
ღებული არის მცხოვრებთა შეღავათი-  
სათვის ღამლამობით მორიგად ყოფნა  
ბბ. ექიმთა და ბებიათა.

**ამიბები:**

**არუთინიანი,** ორშაბათობით, ხუთ-  
შაბათობით და კვირაობით.

**კორონა,** სამშაბათობით და შა-  
ბათობით.

**მელიძე-ფარსადგომი,** ოთხშაბა-  
თობით და პარასკევობით.

**ბაზიბები:**

**ფილჩაქოვისა,** სამშაბათობით.

**ბაზინოვისა,** ორშაბათობით და  
პარასკევობით.

**სტეფანოვისა,** ოთხშაბათობით და  
შაბათობით.

**ლოქოვისა,** ხუთშაბათობით და  
კვირაობით.

**სამპურნალოში,** რომელიც თბი-  
ლისის მოქალაქეთ დაარსეს სასსოვრად  
4 აპრილისა 1866 წლისა, ვადმოფისი  
მიიღებან დილის 8 საათიდან 12 სა-  
ათამდე.

ყოველ დღე მიიღებენ ამ სამკურნა-  
ლოში ვად.მოფიებს შემდეგი ექიმები:  
ტერ-გრიგორიანცი — 8 საათიდან 9  
საათამდე საბუბო, საქაღებო და სა-  
ბავშვო ვადმოფიების; საწამლებად  
ბენკლევსკი — 10—11 საათამდე — სა-  
ხირურგო, სიფილისის ვადმოფიების  
წამლობისათვის და აგრეთვე კიბოსა და  
ურის ტვიკილის საწამლებად; შტემ-  
ბორსკი 11—12 საათამდე სიფილისის  
და სსუელზე გამოყოფილი მუწუკების წამ-  
ლობისათვის. ამას გარდა გარალევიჩი  
ორშაბათობით 9—10 საათამდე შინა-  
გან ვადმოფიების წამლობისათვის;  
კორონა ორშაბათობით, სამშაბათობით,  
ხუთშაბათობით, და შაბათობით შინაგან  
ვადმოფიებათა წამლობისათვის 10—11  
საათამდე; მინკევიჩი სამშაბათობით და  
პარასკევობით 9—10 საათამდე ხირურ-  
გიული ვადმოფიებისათვის; ხამჩინსკი  
სამშაბათობით და შაბათობით 11—12  
საათამდე თვალის ტვიკილის საწამლებ-  
ად; კრასნოგლიადოვი ორშაბათობით  
და პარასკევობით 10—11 საათამდე

შინაგან ვადმოფიებათა წამლობის-  
ათვის; ვოლქსონი კიბოს ტვიკილის  
საწამლებად მიიღებს თავის სასწამ-  
ლოვალთვის ღირს ვადმოფიებს, რომ-  
ელიც სამკურნალოდამ ბარათი ექმნე-  
ბათ.

**მაზანდა**

ხორავისა, რომელიც იყიდება თბი-  
ლისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-  
და-ხელ 1 აპრილიდან 1 მაისამდე  
1885 წ.

გამომცემი ჰური რუ სეთის ფიქილისა — — —	1 გირ. 5 პ.
აქაურის ფიქილისა: შარ- ველის სარისისა — — —	1 გ. 2 <sup>1</sup> / <sub>2</sub>
მეორისა — — —	1 გ. 2 პ.

იმევე ფიქილისა თორწემი გამ. მ-  
ცხვარი:

პირველი სარისისა — — —	1 გ. 4 <sup>1</sup> / <sub>2</sub>
მეორისა — — —	1 გ. 3 პ.
მესამისა — — —	1 გ. 2 <sup>1</sup> / <sub>2</sub>

**ჯვარის-მამის ჰური:**

პირველის სარის. ღვაში 1	გ. 4 <sup>1</sup> / <sub>2</sub>
მეორის სარის. ღვაში 1	გ. 3 <sup>1</sup> / <sub>2</sub>
მესამისა — — —	1 გ. 3 პ.

**ძროხის სორცი:**

პირველის სარისისა — — —	1 გ. 9 პ.
მეორისა — — —	1 გ. 8 პ.
სუკი — — —	1 გ. 16 პ.
ცხვრის სორცი — — —	1 გ. 10 პ.

**ღორის სორცი:**

პირველის სარისისა — — —	1 გ.
მეორისა — — —	1 გ.

**რკინის მზა**

თბილისიდან ბათუმისკენ მიდის  
8 საათზე და 31 წამ. დილით.

თბილისიდან მარტო საშურამდინ  
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.

**თბილისიდან ბაქოსკენ**

10 საათზე და 45 წამზე დილით.  
(სამშაბათობით და შაბათობითსაქ-  
რო 10 ს. 58 წ. დამით.)

ქუთაისიდან თბილისისკენ  
12 საათზე და 25 წამ. შუადღის უკან.

ქუთაისიდან ბათუმისა და ფო-  
თისკენ

5 საათზე და 20 წამ. შუადღის უკან.

**ბათუმიდან თბილისისკენ**

8 საათ. დილით.

**ფოთიდან თბილისისკენ**

8 საათ. და 45 წამ. დილით.

ფოთიდან და ბათუმიდან მომავ-  
ლი თბილისში შემოდის

10 საათზე და 25 წამ. დამით.

მარტო საშურამდინ მომავალი  
თბილისში შემოდის

8 საათზე დილით.

ბაქოდამ მომავალი შემოდის  
თბილისში

2 საათ. და 30 წამ. შუადღის უკან.  
(სამშაბათობით და პარასკევობით სასწა-  
რო 7 ს. 53 წ. დილ.)

**განცხადებანი**

თბილისის თავად-აზნაურთ საად-  
გილ-მამულო განმისაზან  
ზედამხედველი კომიტეტი თბილისის  
თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო

ბანკისა აცნობებს ყველა წევრებს — და-  
მარსებელთ და მოვალეთ ბანკისა,  
რომ ბანკის წესდებულებათა 82 წ-ის  
ძალით ამა მდგომარე წლის აპრილის  
27-ს პრწრუნიველ თვატრის ზალაში  
დანიშნულია ბანკის ჩვეულებრივი კრე-  
ბა, რომელზედაც უნდა განხილულ  
და დამტკიცებულ იქმნენ შემდეგი საგ-  
ნები:

1) ანგარიში წარსულის 1884 წლის  
ბანკის მოქმედებისა.

2) 1885 წლის ბანკის მმართვე-  
ლობაზე ხარჯის განხილვად და მ-  
ტკიცება.

3) მოხსენება შესახებ პრწრუნი-  
სეულის ქარვასლის და ბალის ბანკის  
საკუთრებად შექმნისა.

4) მოხსენება იმ ქონებათა შესა-  
ხებ, რომელნიც ბანკს დარჩა.

5) მოხსენება საზოგადოდ სხდომებ-  
ში მონაწილეობის მისაღებად ვექი-  
ლობათა შესრულებისა და წარმოდ-  
გენის შესახებ.

6) მოხსენება იმ საგნის შესახებ,  
რომ ბანკის მოქმედება გავრცელებულ  
იქმნას ქალაქს ბათუმშია.

7) მოხსენება დამფასებელთა და  
მათის კანდიდატების აღმორჩევის წე-  
სის შესახებ.

8) ამორჩევა რიგისამებრ გამოსავ-  
ლელთ ბანკის მმართველობისა და  
დამფასებელ კომისიის თავმჯდომარე-  
ებისა.

9) ამორჩევა ზედამხედველის კო-  
მიტეტის წევრისა.

თავმჯდომარე ზედამხედველის კომიტეტისა  
თ-დი. ი. ანდრონიკაშვილი.  
(4—3)

**თბილისის სათავად-აზნაურთ სმო-  
ლის კომიტეტი**

საზოგადოების წეს-დების მე 7 წ  
თანსამად ნიშნავს საზოგადო კრებას  
აპრილის 25-სათვის, დილის 10  
საათზე სკოლის სადგურში, ნიკოლო-  
ზის ქუჩაზედ ჩითასოვის სასწამი.

საზოგადო კრების წევრებად, წეს-დე-  
ბის ძალით, ითვლებიან წევრნი დამარ-  
სებელნი თბილისის საადგილ-მამულო  
ბანკისა, აგრეთვე პირნი, რომელთაც  
სკოლის სასწამებლად წელიწადში სამი  
მან. მინც შემოაქვთ.

კრებისაგან განსნიდველი საგნები:

ა) ანგარიში კომიტეტის მოქმედე-  
ბის სკოლის შესახვის შესახებ.

ბ) ანგარიშ თავს-მჯდომარის ამხანაგი-  
სა და კანდიდატის კომიტეტის წევრად

თავ-მჯდომარე კომიტეტისა  
(4—3) კ. მამაცაშვილი.

**სასემწიფო ბაღში**

**„იმევეტიდში“**

მუდამ სალამოს, კარგს ამინდში,  
ამ აპრილში და მაისშია დაუკრავს  
სამხედრო მუსიკა. (4—2)